№ 89

პარასკევი, 29 აპრილი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 89

პარასკევი, 29 აპრილი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

**დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 8 მ ა ი ს ს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **კნ. ოლღა თადეოზის ასულს**

ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

რადგან 21 აპრილს არ შესდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა **საგანგებო კრება**, ამიტომ იგი თანახმად წესდების § 15-ისა, ხელმეორედ დანიშნულ იქმნა 1 მაისისათვის, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი საგნები არიან:

1, მოხსენება სარევიზიო კომისიისა $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ და აზრი გამგეობისა ამ მოხსენების შესახებ.

2, მოხსენება კომისიისა, რომელსაც წლიურის კრების მიერ მინდობილი აქვს გამორკვევა სკოლების გახსნის საქმისა.

3, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების რიგის შესახებ.

4, არჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად მიმდინარე წლის ანგარიშისა.

და 5, არჩევა საზოგადოების ახალის წევრებისა.

## ტფილისი, 29 აპრილს

სხვათა შორის, სოფლის ერთი გაჭირვებათაგანი ისიც არის, რომ გლეხ-კაცს ხელის მონაცვლა, ხელის გამართვა არ შეუძლიან. გარემო თავისავითვე ღარიბები ახვევია და ერთის მანეთის სესხად აღება რომ უნდოდეს, ხშირად მთელს სოფელს ამაოდ ჩამოივლის კარის-კარ, მეზობლებში. იძულებული ჰხდება მიჰმართოს ისევ სოფლის წურბელას, სოფლის ვაჭარს, მედუქნეს, რომელიც ამ უბრალო ვალს ერთი ორად შეაწერს და დაიმონავებს, დასჩაგრავს გლეხს, ერთს მანეთს სამადა და ოთხად დაუსვამს, რის მაგალითიც არა ერთი და ორი ყოფილა.

ამ გაჭირვებას სოფლისას დახმარება და შველა უნდა და რაც უფრო ჩქარა გაუწვდის ეს შველა გლეხ-კაცს მოწყალე ხელს, მით უკეთესია, მით უფრო დიდს სამსახურს გაუწევს იმის კეთილდღეობის დასამკვიდრებლადა და განსამტკიცებლად. ფული გაჭირვების ტალკვესიაო, ამბობს ჩვენი გლეხ-კაცობა, და თუ ეს ტალკვესი ხალხს არა აქვს, საკუთრად თუ არა, ხელის მოსანაცვლელად მაინც, სწორედ ძნელი იქნება იმისი ყოფა და იმისი ცხოვრება.

ამასთან ერთი გარემოებაც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ფულის შოვნის მხრივ ქალაქი დიდად განსხვავებულია სოფლისაგან. ქალაქ ადგილას დღეს თუ ერთს არა აქვს, მეორეს ექნება, გაჭირვებული, თუ ერთგან არა, მეორეგან, მესამეგან გაიმართავს ხელს. ხოლო სოფელს თუ გაჭირვება დაადგა, ყველას თითქმის ერთს დროს დაუჩოქებს იგი, ერთს დროს მიადგება კარზედ. სოფლის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თუ ფული დასჭირდათ, ყველას დასჭირდებათ, თუ ფულის შოვნაა— ყველასა აქვს ფული. მოსავალი გლეხ-კაცს ერთს დროს მოსდის და მისის გაყიდვით სარჩოც ერთს დროს უვარდება ხელში; ხოლო „ფოსტის“ ფული, თუ სხვა გარდასახადი ერთს დროს ერთმევა და ყველამ წელებზედ ფეხი უნდა დაიდგას იმის გადასახდელად.

რასაკვირველია, სოფელს თითო-ოროლა შეძლებული წევრიცა ჰყავს, მაგრამ ეს ორიოდეს გამორჩევა მთელს სოფელში ამ მხრივ, თუ მავნებელი არა, სასარგებლო არ არის. თუ გლეხია, იმათივე თანამოძმე, ისე ადვილად ვერ გამოიმეტებს წვითა და დაგვით შეძენილს ფულს გასასესხებლად და, თუნდა გაიმეტოს კიდეც, ისე ვერ ასარგებლებს, ისე ვერ დაარჩობს თავისს თანამოძმეს და ამიტომ არც იმდენად ხელსაყრელია და სასარგებლო მისთვის ფულის გასესხება. ხოლო თუ გლეხი სარგებელს გამოუდგა, მაშინ იგი წურბელა შეიქმნება სოფლისა, მთელს სოფელს ხელში ჩაიგდებს ხოლმე და გლეხ-კაცობასაც თავს ანებებს, ფულით ვაჭრობას იწყებს.

ამიტომ ყოვლად და აუცილებლად საჭიროა, რომ სოფელში არსებობდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც გაჭირვების დროს დახმარებას, შველას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებელს პირიანის სარგებლით და შემდეგ, მოსავლის გასყიდვის დროს, უდავიდარაბოდ და ყელში წაუჭირებლად გადაახდევინებს. როდესაც გლეხ-კაცი დაინახავს, რომ იგი დაწესებულია მისდა ხსნად და შველად და არა გასაღარიბებლად და გასაძარცვავად, თითონაც ეცდება პირ-ნათლად გადაუხადოს სესხი, რომ ნდობა არ დაეკარგოს და გაჭირვების დროს ისევ იმას მიჰმართოს ხელის გასამართავად.

რასაკვირველია, ასეთ დაწესებულებად ისევ სახალხო ბანკი უნდა იყოს. ასეთის ბანკის დაარსება ისე ძნელი არ არის, როგორც ეს პირველ შეხედვითა სჩანს, და ადვილადაც მოიკიდებს ფეხს ხალხის ცხოვრებაში, რადგან, ჩვენის აზრით, ჩვენში ნიადაგიც ხელს უწყობს ასეთის ბანკების დაარსებას. ამ ბანკის სარგებლობის დასასურათებლად მაგალითის ძებნას დიდი ხანი არ დასჭირდება. ავიღოთ, თუნდა სახალხო ბანკების დაარსების ამბავი იტალიაში, სადაც თითქმის ერთს დროს ორის სისტემის ბანკი იქმნა დაარსებული და დღესაც არსებობს.

1866 წელს იტალიაში ლუზატიმ დააარსა თავისი ბანკი და პირველში თანხად სულ 280 მან. ჰქონდა. სესხის გაცემის დროს იგი გირაოს არ იღებდა, უბრალო ბარათს ართმევდა და პასუხისმგებელი სესხისა პირადად თვით მისი ამღები იყო. ამბობდნენ, დიდად იზარალებსო, მაგ პირობით ბანკის წარმართვა შეუძლებელიაო, მაგრამ ეს მცირე თანხით დაწყებული ბანკი ეხლა მილიონებს ატრიალებს. პირველში თითო პაი ასეთის ბანკისა ჰღირდა ორი თუმანი. პაის მოპოვების მსურველს ეს ფული შეეძლო ნაწილ-ნაწილ გადაეხადნა ათის თვის განმავლობაში—თვეში ორი მანეთი. ამას გარდა, წევრად შესვლის მსურველს ერთ ხანად უნდა შეეტანა ერთი თუმანი, რომელიც სათადარიგო თანხაში ირიცხებოდა. ბანკი ფულს სესხად აძლევდა, იბარებდა. თამასუქი ფასიან ქაღალდად იყო ჩათვლილი, რომლის შემწეობითაც ერთის ვალდებულების გადატანა მეორეზედ შესაძლებელი იყო. ამ ლუზატის ბანკის დაარსების შემდეგ ოც-და-შვიდმა წელიწადმა განვლო და ეხლა ამ ბანკს ხუთ მილიონამდე თანხა აქვს. მისი განყოფილებანი ათასამდე

## ფელეტონი

### საერო განათლების საქმე უცხოეთში და კერძოდ საქართველოში

„უმეცრებისა კალამი, ვერ დასწერს სწორად ნავალსა,
კეთილს გმობს, ავსა ეწყობის, მრუდად იქმს თავის სწავლასა“ [1])

ერთი უმთავრესი საჭირ-ბოროტო საგანი, რომელზედაც არის დღეს მიქცეული ყურადღება როგორთაც მთავრობისა, აგრეთვე საზოგადოებისა, არის მდაბიო ხალხის განათლება. ხალხის გაუნათლებლობა, უვიცობა, გონების სიბნელე, ჭეშმარიტად, წარმოადგენს მძლეთა-მძლევს, ყოვლის შემმუსვრელს და გამავერანებელს ჩვენს შინაურს მტერს. იგი, როგორც ჭია, ღრღნის და სჭამს საუკეთესო კაცის წარმომადგენელთ: ჭკუა-გონებას და გრძნობას, ახმობს და ამახინჯებს მის ცხოვრებას. აი აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა დამცირების და დაქუცმაცებისა; ჩვენის გონებრივ-ზნეობრივისა და ქონებრივის გალატაკებისა. უწინ, როდესაც ჩვენი ცხოვრება არ წარმოადგენდა რთულს მოვლენას, იყო დამოკიდებული ხმალ-ხანჯალ თოფის მარჯვე ხმარებაზე დ ტრიალზე, ამ გონების სიბნელეს არა ჰქონდა ასეთი კაცის დამაქვეითებელი და დამღუპავი შედეგი, მაგრამ დღეს, როდესაც ახალმა დრომ უარ ჰყო ასეთი საწყაო და წარმოაყენა წინ გონების განვითარების კულტურა; როდესაც ასე გაძნელდა კაცის ცხოვრება, როდესაც ათასნაირის ტომის ხალხი ავირივ-დავირივენით ერთმანეთში, „ამ ჟამის ბურთს, როგორც ერთი ძველი დროის ბრძენი იტყვის, ის ხალხი მხოლოდ მოსტაცებს თავის მსგავსთა, რომელიც უფრო ჭკუა-გონებით კარგათ შეიარაღებულია“. ამიტომ ვიდრე ჩვენი ყრი ამ გონების დიდ-მარხვას და ჭკუის სიბნელეს არ დაახწევს თავს, ვიდრე მთელი ერი და თვითოეული ქართველი კერძოდ იმდენ დ ჭკუა-ცოდნით გახსნილი არ შეიქმნება, რომ გონებით ჰასაკოვანი დაერქვას, რომ თავისის ქვეყნის წარსულიც იცოდეს, აწმყოც და სასურველის მერმისის ნატვრაც ჰქონდეს, ერთის სიტყვით, არ შემუსრავს უვიცობის ჯაჭვს, რომლითაც მაგრად შეკრულ-შებორკილებულია, მანამდინ, ვამბობთ, კეთილ-დღეობას და ბედნიერს ცხოვრებას ვერ ეგემოვნებს იგი. აი ამის გამო, ყოველ შეგნებულის კაცის ფიქრით, სწავლა-განათლება მაგარი ციხე-სიმაგრეა, ბურჯია ერის კეთილ-დღეობისა, მტკიცე და უტყუარი საფუძველია, რომელზედაც ამ კეთილ-დღეობას შეუძლიან ფეხი მკვიდრად მოიკიდოს. სადაც განათლება არ არსებობს, სადაც ავ-კარგის შეგნება არ არის, სადაც შავს თეთრისაგან არ არჩევენ, იქ ყოველი კეთილი წადილი, ყოველი ჰუმანიური მისწრაფება და დაწყებულება ფეხ-მოუკიდებელია და წარმოადგენს ქვიშაზედ აგებულს შენობას, რომელსაც ქარიც ადვილად დაქცევას ემუქრება და წყალიც. ეს უმთავრესად იმიტომ, რომ უმეცრება ერთობ მაგარი კლდეა, რომ მოწინააღმდეგე ძალა არ შეიმუსროს მასზედა. ამიტომ არის, რომ ვერ შევხვდებით ძველსა და ახალს დროში იმისთანა გამოჩენილს მეცნიერს, პედაგოგს, ფილოსოფოსს, პუბლიცისტს და სხვა, რომელიც განათლებას საფუძვლად არა ხდიდეს ცხოვრების კაცურად მოწყობისათვის, ერის კეთილ დღეობის აღორძინებისა და დაცვისათვის. „ღონიერი და პირთა მძლევი ის არის, იტყვის ჩვენი მწერალი, ვისაც ჭკუა-ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. როცა კაცს ცოდნა აქვს, ჭკუა-ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს, მაშინ სხვისათვისაც და თავისთვისაც მარგე არის. ეხლანდელს დროში ცოდნა ყველაფერზე კარგია: ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია [2]).

„კეთილშობილებას, შთამომავლობას, ამბობს პლუტარხი, თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი მხოლოდ მამა-პაპათა სიკეთეა. სიმდიდრე კარგია, მაგრამ შემთხვევაზეა დამოკიდებული; დიდება კეთილ-შობილი მისწრაფებ ა, მაგრამ არა საიმედო-კი. მშვენიერება საუცხოვო ღირსებაა, მაგრამ არა ხანგრძლივი და ადვილად წარმავალი; ჯანმრთელობა ძვირფასია, მაგრამ ადვილად სუსტდება; ღონე სასურველი თვისებაა, მაგრამ ავადობა და მხცოვანება სთრგუნავს. მხოლოდ და მარტო ცოდნაა დაუთრგვნელი, ღვთიური მადლი: უმაღლესნი უპირატესობანი, რომელნიც ადამიანს აქვს მიმადლებული, გონებაა და ნიჭი მეტყველებისა. ერთს უძველესს ბერძნულს ლეგენდაში ნათქვამია, რომ როდესაც ზევსმა დააარსა დედა-მიწა თვითოეულს ცხოველს უბოძა, თავის დასაცველად, რაიმე იარაღიო: ლომს მისცა დიადი ძალა და მამაცობა; ვეფხვს სიმკვირცხლე და ბასრი კბილები და კლანჭები; ლორს ეშვები;

[1]) ქილილა და დამანა, გვერდი 22.

[2]) ი. ჭავჭავაძე: სიტყვა, თქმული სამეურნეო სკოლის გახსნის ჟამს სოფელს წინამძღვარიანთ-კარში.

იტალიის დაბებად არის გაბნეული. ლუზატი თავისის სესხით ეხმარებოდა უფრო იმათ, ვისაც პაის მოპოვების შეძლება და ღონე ჰქონდა. ამიტომ ამ ბანკით სარგებლობდნენ წვრილი მედუქნეები, ხელოსნები, მასწავლებელნი და ქალებიც-კი. ხოლო სოფლის მკვიდრს ეს ბანკი არ გამოადგა. გლეხ-კაცობის მისაზიდავად ლუზატიმ სამ მანეთიანი პაიც-კი გამოსცა, მაგრამ რადგან სესხი მოკლე-ვადიანი იყო, სოფლის მკვიდრმა ვერ გამოიყენა.

იქავე დაარსებული იქმნა ლეონ ვოლენბორგის მიერ ბანკი ხანგრძლივ-ვადიანის სესხით. ვოლენბორგი იმ დედა-აზრს ადგა, რომ „ადამიანს შეძლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად მოქმედებისა, ამისათვის-კი დიდი ფული და დიდი თანხა საჭირო არ არისო“. ამ ფულობას, ამ თანხობას საურთიერთო თავმდებობა გასწევსო. ამ შესანიშნავმა კაცმა თავის სოფელში ოც-და-თორმეტი კაცი მიიმხრო, შეაამხანაგა ისინი და, საერთო თავმდებობით, ას ოცი თუმანი ფული იშოვნა. სესხს აძლევდა საურთიერთო თავმდებობით, ეხმარებოდა მხოლოდ ჭეშმარიტად გაჭირვებულებს, წევრთა რიცხვი მცირე იყო. ბანკის გამგეობა-მმართველობაში ყველა წევრნი იღებდნენ მონაწილეობას და ყოველ მსესხებელის საქმეთა მსვლელობას თვალ ყურს ადევნებდნენ. სესხი ხანგრძლივის ვადით გაჰქონდათ, ისე, როგორც შეეფერებოდა მიწად-მოქმედის საჭიროებას. სესხის გაცემის დროს ბანკი არავითარს გირაოს არა თხოულობდა*). თეორიით ასეთის ბანკის სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია, რადგან იგი სრულიად ეწინააღმდეგება სესხის უზრუნველყოფის წესებს, მაგრამ ცხოვრებაში-კი მან კეთილი ნაყოფი გამოიღო სოფლის მკვიდრთათვის: მსესხებლებმა სესხად აღებულის-ფულით ვერც კეთილ-დღეობა და ვერც ბელით საჭირო საქონელი და სამუშაო იარაღები შეიძინეს, ხვნა-თესვა საუცხოოდ განაკარგეს და, უბრალო ქოხ-მახების ნაცვლად, ამ ბანკის შემწეობითა და წყალობით, რიგიანი სახლები აიგეს და აიშენეს.

აი, რა სიკეთე მოაქვს გარჯას, მხნეობას ერთის ადამიანისას, თუ იმის გონიერს გულის წადილს ჩაქსოვილი აქვს თან ჭეშმარიტი სიყვარული ხალხისა და სურვილი მისის კეთილდღეობისა და ბედნიერებისა. ჩვენ ამას წინად აღვნიშნეთ ორიოდე კაცის მოღვაწეობის წყალობით წარმატება და კეთილს გზაზედ დადგომა სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო-მაჩხაანისა. მართლაც, მხნე კაცს ყველაფერი შეუძლიან. ადვილად შეიძლება განხორციელდეს ჩვენს დაბად და სოფლადაც ვოლენბორგის მიერ იტალიაში შემოღებულ ბანკის მაგვარი ბანკები, თუ მეთაური, გონიერი და გულ-წრფელი, გულ-მტკივნეული კაცი გამოუჩნდა ამ საქმეს. ასეთნი კაცნი უეჭველად უნდა გამოჩნდნენ, აუხსნან ხალხს სიკეთე და მნიშვნელობა ამ ბანკებისა და ჩვენი გონიერი გლეხ-კაცობა ადვილად დაინახავს და მიხვდება იმის სარგებლობას. უნდა შეადგინონ სოფლად ამხანაგობა და ამ ამხანაგობაში მონაწილეობას იღებდნენ მღვდელიც, მასწავლებელიც, გლეხიც, და მაშინ ეჭვიც-კი არ უნდა გვქონდეს მისის განხორციელებისა და კეთილად წარმართვისა.

ჩვენში დიდი საჭიროებაა სოფლად კრედიტის გაჩენისა და უეჭველად, აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ იტალიის მაგალითით ამის დასაკმაყოფილებლად. რასაკვირველია, ვოლენბორგის სისტემა შეიძლება ჩვენის საჭიროებისამებრ შევცვალოთ. ბ ნ ლამანსკის აზრით, შემდეგი ცვლილებანი უნდა იქმნას შემოღებული ამ სისტემაში: 1, სესხის სამოქმედო ასპარეზად დაინიშნოს განსაზღვრული ადგილი, სადაც გლეხკაცობამ ერთმანეთის ავი და კარგი კარგად იცის; 2, ამხანაგობას აზრად უნდა ჰქონდეს მეზობლისა და მახლობელის დახმარება და თავისუფლად უნდა შეეძლოს წევრის ამორჩევა და გამორიცხვა; 3, ყველა წევრნი ამხანაგობისანი სრულნი თავმდებნი უნდა იყვნენ ერთმანეთისა; 4, იმათვე უნდა დაეკისროთ, თვალ-ყური დაიჭირონ და იზრუნონ, რომ სესხის გამტანმა სესხად აღებული ფული მართლა საქმეს მოახმაროს და უბრალოზედ არ გაჰფანტოს.

დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ასეთი ბანკი ლაგამს ამოსდებს სოფლის წურბელათა თარეშს და არც გროში დაეკარგება ბანკს, რადგან ნამუსიანი გლეხ-კაცი სოფლის წინაშე მიცემულს სიტყვას არ გასტეხავს, პირს არ შეირცხვენს. ასეთი ბანკი მით უფრო თანასაგრძნობია, რომ სესხის უზრუნველ-მყოფელი, გირაო-კი არა, პატიოსანი სიტყვაა, ნდობა, რასაც ჩვენი ერი უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ქონების შელევასა და დაკარგვას. ვინც ჩვენს ხალხს იცნობს, ეცოდინება, რომ ქართველი გლეხ-კაცი გირაოს დაკარგვას არად მიიჩნევს, ოღონდ-კი ნამუსიანი ქუდი ატაროს, ოღონდ კაცად-კაცურს სიტყვას არ უმტყუნოს, და აი, ასეთ ბანკის სესხის თავმდებიც ეს პატიოსანი თვისებაა. ტყუილად-კი არ ამბობს სარგის თმოგველი, რომ „კაცის უკეთესი სათავნო სირცხვილიაო“...

ფარნაოზი

*) ცნობები ლუზატისა და ვოლენბორგის მიერ იტალიაში დაარსებულ სახალხო ბანკების შესახებ ჩვენს წერილში შემოტანილი გვაქვს ბ-ნის ე. ი. ლამანსკის ლექციიდგან.

ავტ.

# ახალი ამბავი

*** 26 აპრილს სამხედრო სასამართლომ გაარჩია ქუთაისს საქმე თავადის ან. ნიჟარაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა რკინის გზის მუხიანის სადგურის უფროსის სამსახურის ასრულების დროს ხანჯლით მიხტომა და მუქარა, მოგკლავო, რომლის დროსაც მან შემოჰკრა კიდეც ხანჯალი და მხოლოდ ტანისამოსი გაუჭრა. სასამართლომ დამნაშავეს ჩამორჩობა გადაუწყვიტა, ამასთან დაადგინა იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ხსენებული სასჯელი თ. ნიჟარაძეს შეუმსუბუქდეს.

*** გუშინ, 28 აპრილს, კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი აბასთუმანს წავიდა.

*** 27 აპრილს დაბრუნდა რუსეთიდან მეუღლე კავკასიის მთავარ-მართებლის შერემეტევისა.

*** მთავარ მართებლის დირექტორი გენერალი შტილოვი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან ტფილისში.

*** „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ა. ს.—ძე ხახანაშვილი, რომელიც ამორჩეული იყო სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად, მოსკოვიდან აღარ მოდის და უარი განუცხადებია ახალის თანამდებობის მიღებისა.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას შეუტანია თხოვნა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში და თხოულობს 1,000 მან. სუბსიდიას. თუმცა წარსულ სეზონში, დასძენს გაზეთი, დრამატიულ საზოგადოების მმართველობას არავითარი სუბსიდია არ მიუღია, მაგრამ იმ ზომამდე საგრძნობელი ზარალი ნახა, რომ შემდეგში დაუხმარებლად ქართულის თეატრის გაძღოლა შეუძლებელი არისო.

ამ მოსაზრებას ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა დავუმატოთ: დახმარება ისეთის ნორჩის დაწესებულებისათვის, როგორიც არის ქართული თეატრი, უეჭველად საჭიროა, მაგრამ ასისა და ორასის თუმნით საქმე არ გაკეთდება და ჩვენი თეატრი კიდევ წინანდელად ცალიერი იქმნება, თუ დრამატიულმა საზოგადოებამ სხვა რასმეებზედაც არ იზრუნა და თუ რაზედ უნდა იყოს მიქცეული ზრუნვა იმისი, ამაზე ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს.

*** გუშინ წინ, ოთხშაბათს, ბაქოს სიახლოვეს ნავთით დატვირთული მატარებელი გადასცდა ლიანდაგს, გადავარდა, დაიმსხვრა თორმეტი სავსე ქვაბი და ნავთი დაიღვარა. მატარებელზედ მოსამსახურე ხალხს ზარალი არაფერი მისცემია. ამ შემთხვევის გამო, 27 აპრილს ბაქოს ფოსტისა და ხალხით მატარებელიც ოთხის საათით გვიან მოვიდა ტფილისში.

*** პირველ მაისს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ-გამსესხებელ კასის საგანგებო კრება არის დანიშნული. კრება აირჩევს კასის მმართველობის რევიზორს, გარდაცვალებულ ბ. კომარის მაგიერად. სხვა საქმეთა შორის ამასაც განიხილავს კრება: როგორ განაწილდეს ის ფული, რომელიც ყოველ წლივ გადიდება ხოლმე ღარიბ მოხელეთა დასახმარებლად; და როგორ მოხდა, რომ კასაში ნამყოფ ხაზინადარს, ბ. ლემერმანს გადაჰყვა, ანუ დააკლდა რამდენიმე თუმანი ფული საქმის წარმოების დროს.

*** სოფ. ჯიხეითი, (გურია): ამას წინად აქ ერთი ავაზაკობა მოხდა. იმ ადგილას, სადაც ჯიხეითში დედათა მონასტერია აგებული, ერთს ღამეს შეიკრიბნენ ოთხნი ავაზაკნი, მივიდნენ ღამე და დაიძახეს დეკანოზი გვიჩვენეთ, საქმე გვაქვსო. წინადამითაც აქ დეკანოზი მოვიდა, გვარად წ—ძე, სტუმრად. ამ ხმაზედ ერთი მონაზონთაგანი გამოვიდა, შეიყვანა დეკანოზთან, თურმე ოთხივეს პირი ჰქონდა შეხვეული. დეკანოზს უთხრეს, ფული მოგვეციო, დეკანოზს ფული არ გააჩნდა და ხანჯლით მუქარა დაუწყეს, რამდენჯერმე თოფიც გაავდეს შესაშინებლად. ავაზაკები რომ ვერაფრით მოიშორეს, ერთს საწყალს ბერ-მონაზონს შვიდ თუმან ნახევარი ჰქონდა, აიღეს და ეს ფული და სხვა ნივთეულებანიც მისცეს. ავაზაკნი აღმოჩნდნენ გვარად ფილია, ჟოჟიკაშვილი და სამსონია, ერთიც თათარი. სამი შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** დ. ყვირილა: 26 აპრილს, აქ თავი მოიკლა რევოლვერით მეორე გილდის ვაჭარმა სოლომონ ქრისტეფორეს ძემ ცერცვაძემ. ამ სამწუხარო ამბავმა ძალიან შეაწუხა აქაური ვაჭარნი. განსვენებული კეთილი და სათნო კაცი იყო.

*** ბათუმი: დასავლეთ საქართველოში ძალიან უყვართ ბურთაობა. ამაზედ უკეთესი გართობა და დროს

---

ხარს მწვეტი რქები; ცხენს სიმარდე და მაგარი ჩლიქები; გველს გესლი და შხამი და სხვ. და სხვ. მხოლოდ კაცი დაიბადა ისეთი სუსტი არსება, რომ არამცუ თავის დაცვის, ცხოვრების შეძლებაც-კი არა ჰქონდა, სხვის დაუხმარებლად. დაინახა რა ასეთი თავის სისუსტე და დავრდომილება, კაცმა მწარედ შესტირა ღმერთსაო. ღმერთმაც შეიბრალა და რადგანაც სხვა აღარა დაშთენოდა რა, მისცა იარაღად გონება და ნიჭი დაუსრულებელის განვითარებისა სწავლა-ცოდნითაო. განათლება, ამბობს მეორე ჩვენი მწერალი წარმოადგენს ერთს მძლავრს საშუალებათაგანს შესამცირებლად კაცობრიობის ცრუმორწმუნოებისა, ბიწიერებისა, ტანჯვა ვაებისა და ასაღორძინებლად სხივ-მომფენ შეხედულობისა, სათნოებისა და სიხარულისა. კაცობრიობის ცხოვრებაში სახალხო განათლება არის საძირკველი კულტურის წარმატებისა თვითოეულ ერისათვის, ურომლისოდ ქვეყნიერებაზედ ადამიანს ადვილად ვერ შეუძლიან მოიპოვოს ბედნიერება“. „განათლება, იტყვის ვიკერშამი, [3]) სულ ხელს უწყობს ადამიანს, რომ შრომა შეიქმნას მისთვის უფრო სარგო და ნაყოფის მიმცემი. მთლად ის პური, რომელიც დგება ყოველ წლივ შეერთებულს ამერიკის შტატებში, რომ გალეწილიყო და დაფქულიყო ძველებურად მამა-პაპურის წესით, ვერ აუვიდოდნენ მთელი შტატების მცხოვრებნი. ხოლო მაშინების შემწეობით-კი დღეს ამ საქმეს შეასრულებს სულ მცირეოდენი მუშათა რაზმი. ვისი მეოხებით, იკითხავთ?—მეოხებით ჭკუა-გონებისა, ე. ი. იმისა, რომელმაც აგვიშენა ჩვენ სასახლეები, გადვა ბოგირ-ხიდები წყლებზედ, გაგვიმართა რკინის გზები, მოგვიწყო ხომალდ-გემები; ჭკუა-გონებისა, რომელმაც მოიგონა საათი, ტელეგრაფი, ტელეფონი, როიალ-ფორტოპიანები და სხვა ადამიანის ყურის დამატკბობელი საკრავები, წიგნთ-საბეჭდავები, ერთის სიტყვით, რომელმაც შექმნა განათლება. განათლება აკეთილშობილებს მუშას, იგი მოუხვეჭს განათლებულს მუშას ისეთსავე პატივს და ღირსებას საზოგადოების თვალში როგორსაც სხვა წოდების პირთა. ის გარემოება, რომ ცინცინატი იყო მიწის მხვნელი, ფრანკლინი ასოთ-ამწყობი, გუგო მილლერი ქვის მტვრევი, სრულიადაც არა ხდიდა ვისთვინმე სათაკილოდ; წინააღმდეგ უფრო დიდის პატივის ცემით ეკიდებოდნენ თანამედროვე წარჩინებულნი. ტყუილია ისიც, ვითომც განათლება უდებდეს კაცს გულში მუშაობის სიძულვილს. იგი სიძულვილს-კი არ უბადავს კაცს, არამედ აძლევს მას შეძლებას შეასრულებინოს მაშინებს ის საქმე, რომელიც უნდა გაეკეთებინა საკუთარის თვის ძალ-ღონით. ყველანი რომ განათლებულნი და ნასწავლნი გამოვიდნენ, მაშინ მუშად ვიღა აქნებაო, ამბობენ მეორენი. არც ამის პასუხია ძნელი.—მაშინ ყველანი მუშები იქმნებიან, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ხელ-ფეხის დაწყვეტა მუშაობაში აღარ დაგვჭირდებოდა, რადგანაც მომეტებულად საქმეებს შევასრულებდით მაშინებით, თვით ბუნების ძალთა საშუალებით [4]), თუმცა კაცს, სწერს ბრძენთ ფილოსოფოსი პლატონი, ბუნებით არა აქვს მძვინვარება, მაგრამ მხოლოდ აღზრდა გარდააქცევს დედამიწის საუკეთესო ქმნილებად; ხოლო თუ დარჩა აღუზრდელად, ან ცუდად აღიზარდა, შეიქმნება მხეცზედაც უმძვინვარესი“. „ბოროტი გამოდის კაცი, იტყვის პითაგორი, მხოლოდ ცუდის აღზრდის გამო“. ამავე აზრს გაიმეორებენ თითქმის ყველა გამოჩენილნი ფილოსოფოსნი, როგორც საშუალოს, ისე ახალის დროისანი. „აღზრდა გარდააქცევს, იტყვის კანტი, კაცს კაცად, ე. ი. უკეთილშობილესს, უგონიერესს და უმაღლესს ქმნილებად. ამასვე გაიმეორებს პედაგოგი შვარცი «გრიგორი VII-დე ლიუტერი და წარჩინებული პლატონი, იტყვის პედაგოგი გედიკე, კრომველი, ხიული მაჰმადი, ნიუტონი, სოკრატი, ნერონი, მარკ ავრელი, ლეიბნიცი, მოსე წინასწარმეტყველი და თეოკრიტი, ატტილა და მხიარული ანაკრეონი, ვირგილი, არქიმედი და მეომარი ქსერქსი არიან ერთის ჯიშის, ტომის, მოდგმის კაცნი, მხოლოდ აღზრდას და განათლებას გაურჩევია ესენი ერთმანეთისაგან“. არისტოტელი, რომელიც იმდენადვე ფილოსოფოსი იყო, რამდენადვე პოლიტიკოსი, „ამბობს, რომ აღზრდა არის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია საზოგადოების მოქალაქობრივი და სოციალური წეს-წყობილებაო და ამიტომ აღზრდას სთვლიდა სახელმწიფოს უმთავრესს მოვალეობად. „ცოდნა, ამბობს ბეკონი, შეადგენს ხალხის ძლიერებას“, მომავალში უმდიდრესად და უმძლავრესად შეიქმნება, მისის აზრით, მხოლოდ ის ერი, რომელიც, შრომის მოყვარეობის გარდა, უკეთესად შეიარაღებული იქმ-

[3]) მზრუნველი საერო სკოლებისა კონნეკტიკუტში—ამერიკის შეერთებულს შტატებში.

4) Народоне образованіе.—Соч. Э. Лавлея. стр. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატარება სხვა არ უნდა ჩვენებურს. ბათუმში პირველად ბურთაობა გაიმართა 24 აპრილს. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. მობურთავენი ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: ცალ მხარეს მეგრელნი და მეორეს გურულნი. მეგრელნი ერთიორად მეტი იყვნენ გურულებზედ, მაგრამ მაინც გული არ გაიტეხეს და დიდის ხალისით დააწყეს თამაშობა. ბინდამდე გასტანა ამ ამბავმა და ბოლოს ვიღაც პირ-შავმა კაცმა გასჭრა ბურთი გურულების საზღვარზედ. ბათუმის ნავთ-სადგურში მუდამ რამდენიმე ცეცხლის გემი სდგას უცხოელებისა. რამდენიმე ინგლისელი გამოვიდა ნაპირად და, ბურთაობა რომ დაინახეს, ისე შეექნათ იმათაც გული, რომ თვითონაც ჩაერივნენ: ისე თამაშობდნენ ისინი ბურთაობას, რომ ჩვენებურები გეგონებოდათ. ალტაცებაში იყვნენ ასეთის დროს გატარებით.

*** ქ. სიღნაღი: ჩვენს უპატრონო და უბედურს სიღნაღში ძლიან გამრავლდა ქურდობა, სხვათა შორის დუქნის მტვრევასაც მიჰყვეს ხელი. აპრილის 17-ს, აღდგომა ღამეს, გაუტეხეს საწვრილმანო სავაჭრო დუქანი სიღნაღის მოქალაქეს გეურქ არტემასძეს ისაიევს და გაიტანეს ჩექმის საკერავი მასალა და ცოტაოდენი ფული, რაც დახლში იყო დატოვებული, სულ მასალით და ფულით— 341 მანეთის ღირებულობისა. დუქანი გაეტეხათ ისეთის მხრიდგან, საიდანაც თხელი და ადვილი გამოსანგრევი კედელი ჰქონდა, ქურდს გამოენგრია და აქედან გაეტანა მასალა; თუმცა პოლიციის მოხელენი შეუდგნენ დანაკარგის ძებნას, მაგრამ ვერა გაარიგეს-რა. ისევ დუქნის პატრონმა დაუწყო ძებნა და 22-ს აპრილს მიაგნო დამნაშავეთ. ქურდები აღმოჩნდნენ თვით პოლიციის მოხელე გოროდოვოები; დამალულ საქონლის რაოდენიმე ნაწილი იპოვნეს თვით პოლიციის სარდაფში, ნაწილიც აღმოაჩინა სიღნაღის სამხედრო უფროსმა თავიანთ სალდათებში, რომლებსაც ეყიდნათ „გოროდოვოისაგან“. ეს გოროდოვოი იმ ადგილას მდგარა იმ ღამეს, სადაც დუქანი გაიქურდა.

*** სოფ. ამაღლება. გუშინ წინ, 20 აპრილს, ს. ამაღლებაში შეცდომით თავი მოიწამლა, კარბოლის სიმჟავით მღვდლის იაკობ მაჭავარიანის ასულმა ვერამ, და მაშინვე გარდაიცვალა. განსვენებული სულ ახალგაზდა იყო. ამ ორის წლის წინად, მშვენივრად შეასრულა ქუთაისის დედათა გიმნაზია და შემდეგ სოფლად სცხოვრობდა კერძო მასწავლებლად.

*** ს. მარტვილი: 22 აპრილს ღამის ორ საათზედ ვიღაც ბოროტმომქმედმა ცეცხლი წაუკიდა დ. ნაოლალევს. დაიწვა რვა დუქანი, დანარჩენი-კი გადაარჩინეს. დიდი სიმარჯვე გამოიჩინეს ცეცხლის გაქრობაში ჩვენმა აფთიაქარმა და სოფლის მამასახლისმა ყ. თოფურიამ. ზარალი თითქმის ხუთი ათას მანათამდეა.

*** იქიდამვე: გაზეთ „ივერიაში“ იყო გამოცხადებული, რომ გაიმართა დილიჟნის სიარული დ. აბაშასა და მარტვილს შორისაო. მაგრამ რადგანაც გლახა ზამთარი იყო, ამისთვის კამპანიონერებმა დიდი ზარალი ჰნახეს; ცხენები თითქმის სულ დაგხოცათ და დილიჟნის სიარული შეჩერდა. ეხლა-კი კომპანიონერმა ბ-ნმა სურმავამ ხელახლავ იტვირთა ეს მძიმე საქმე, იყიდა ცხენები და ისევ გაიმართა ყოველ დღიური მისვლა-მოსვლა დილიჟნისა ხსენებულ ადგილებ შუა.

ჯერ ჩვენსკენ ცუდ ავდრებისა გამო მუშაობა არ არის დაწყებული.

*** ს. ზ. ნიქოზი (გორის მაზრა): იანვარს აქეთია მძვინვარებს აქ საქონლის ჭირი. უ მისოდაც გაწყალებული ხალხი ამან უფრო გააწყალა. შარშან-წინ ხოლერამ მისცა დიდი ზარალი ამ სოფელს; მერე 3000 მან „ნედოიმკა“ გადაიხადა და სულ ბოლო მოეღო. ექვსი წელიწადია აგერ რიგიანი ჭირნახული არ მოსვლია სოფელს. ამ გარემოებამ ხომ სულ ცეცხლზედ წყალი დაუსხა საცოდავებს. ერთს მოხუცებულს გლეხ-კაცს ხოლერამ შარშანწინ მოუკლა ხუთი სული ადამიანი, ახლა ჭირმა გაუწყვიტა ექვსი სული საქონელი და დაილუპა კვალ-წმინდად საწყალი მოხუცებული გლეხ-კაცი.

მიზეზი საქონლის ჭირისა ის უნდა იყოს, რომ დახოცილს საქონელს ატყავებენ, გააქვთ იქვე 25 საჟ. სიშორით და ჰყრიან მინდვრად, სადაც ხვდება ყოველ დღეს საქონელი, რომელიც სუნამს ნაალაგევსა ან ლეშს. გარდა ამისა ძვლებსა და ლეშს ეზიდებიან ძაღლები სახლებში და ბაკებში.

თქვენი მტერი, თუ მალე არ მიეშველა ამ საქმეს, ვისიც ჯერ არს, და ძალით მაინც არ შეასრულებინა ის წესი სოფელს, რაც საჭიროა ჭირის მოსასპობად!

*** პარასკევს 29 აპრილს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

## დამაკვირდი

იმის სიტყვა დასაჯერებელი არ არის, ვისაც ყველასი სჯერა.

ლესინგი

**

სასიათი სანგრძლივი ჩვეულებაა და სხვა არა-რა.

პლუტარხი

## რუსეთი

ყაზანის გუბერნიაში შეუდგენიათ პროექტი სოფლის მეურნეთა ამხანაგობისა. ამ ამხანაგობაში წევრებად იქმნებიან მოწვეულნი უმეტესად წვრილნი და შუათანა შეძლების მიწად-მფლობელნი, საერთო რიცხვი წევრებისა 6,000-მდე უნდა იყოს. ამ ჟამად უკვე შედგენილია პროექტი ამხანაგობისა, რომლის დედააზრი უმთავრესად ამაში მდგომარეობს: ამხანაგობას აზრად აქვს საზოგადო ძალით და ღონით დაეხმარონ სოფლის მეურნეთა იმ მხრივ, რომ: 1) მეურნეობის ნაწარმოები თვით ახმარებლებმა იყიდონ; 2) სოფლის მეურნეს იაფ ფასად შეეძლოს შეძენა საჭირო იარაღის და ნაწარმოების ყიდვა, და 3) ხელი შეეწყოს მთელის გუბერნიის სასოფლო მეურნეობის საჭიროების გამორკვევის საქმეს და ზრუნვა ჰქონდეს ამხანაგობას მეურნეობის ყოველის საჭიროებისათვის. ყოველმა წევრმა, ამხანაგობაში შესვლის მსურველმა, უნდა გადაიხადოს ყოველის პაისა 50 მან. და ყოველს პაიზედ ზედმეტი 5 მან. ყოველ ფუთფუთზედ, რომელსაც ამხანაგობა გაჰყიდის თავისის წევრისას, გადაახდევინებს გამორკვეულს საკომისიო ხარჯს, ასე რომ თუნდა დიდ-ძალი პური გაჰყიდოს ამხანაგობამ ერთ პაიანის წევრისა, ზარალს არასა ჰნახავს. ამხანაგობის ყოველ წევრისათვის სასარგებლოა და ხელ-საყრელი, რომ რაც შეიძლება ამ ამხანაგობამ მეტი ალებ-მიცემობა გასწიოს, რადგან მოგება მისი განაწილებულია ამ გვარად: დივიდენდის 40% (აქედგან 5% საწყრო პაის დივიდენდად და 15% მმართველობის წევრებისა და მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად არის გადადებული) ურიგდება იმათ, ვინც უფრო მეტის ალებ-მიცემობის სახსარს მისცემს ამხანაგობას და 40% საწევრო პაის რაოდენობის კვალობაზედ განაწილდება.

## უცხოეთი

**იტალია.** პალატაში ხარჯ-აღრიცხვის განხილვის დროს, როდესაც ბარცილაიმ იკითხა, რა მდგომარეობაში კავშირი იტალიისა და სხვა სახელმწიფოთაო, გარეშე საქმეთა მინისტრმა ბლანკმა უპასუხა: რა ვალდებულებანიც გვაქვს ნაკისრი ჩვენთა მოკავშირეთა წინაშე, დასამალი არა არის-რა- ეს ვალდებულება ის არის, რომ მოვალენი ვართ ერთმანეთს დახმარება აღმოვუჩინოთ, თუ ერთ-ერთს მტერი დაესხა. გულწრფელის სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ომის გამოწვევა ეხლა უფრო დიდად შეუძლებელი საქმეა, ვიდრე ოდესმე იყო, რადგან მშვიდობიანობას არიან მოწადინებულნი თვით ევროპიის ხელმწიფენიცა და ერის ხმაც. ჩვენმიერ ნაკისრ ვალდებულებას ის სიკეთე სჭირს რომ იგი კერძოდ არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ არ არის მიმართული, რისგამოც არა გვიშლის-რა, რომ რუსეთსაც ისე მეგობრულად მოვეკიდნეთ, როგორც საფრანგეთს ვეკიდებით. არც ერთი სახელმწიფო, მშვიდობიანობას მოწადინებული, არ იქმნება შეურაცხებული ამ მშვიდობიანის კავშირით, რადგან კავშირი ესე გზაზედ არ ეღობება არც რუსეთისა და არც ინგლისის ინტერესს. ამას დავსძენთ აფრიკის მიდამოებში არც ერთი ადგილი მიწა არ მოიპოვება ისეთი, რომელიც-კი ამ უკანასკნელ თხუთმეტი წლის განმავლობაში დაგვიჭერია, რომ იგი ჩვენთვის არ შემოეძლიათ და უარ არ გვეყოს, რადგანაც არ გვინდოდა ეთქვათ, ვითომ და იტალია საფრანგეთის მგლოვიარობითა სარგებლობსო. იტალიაო, სთქვა დასასრულ მინისტრმა: იმ ადგილს დაიჭერს სხვა ერთა შორის, რომლის დაჭერასაც შეაძლებინებს მას პარლამენტი იმ საგნის განხილვის შემდეგ, რომელზედაც დამოკიდებულია იტალიის ეკონომიური და საპოლიტიკო დამოუკიდებლობა და ერთიანობაო. მინისტრის მიერ წარმოთქმულს სიტყვას პალატა ტაშის-კვრით მიეგება.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ამას წინად ჩერნოვიცში დიდი უბედურება დატრიალდა: ამ რამდენისამე წლის წინად ამ ქალაქში ყველასაგან პატივცემულმა გაზეთ „ბუკოვინას“ რედაქტორმა დაშკევიჩმა სიყვარულით შეირთო ერთი თექვსმეტის წლის, დიდად ლამაზი ქალი. ცოტა ხანს შემდეგ დაშკევიჩმა თავის ცოლს კოპწიაობა შეამჩნია, რაც დიდად ეწყინა. ახალგაზდა და ლამაზს ქალს გარს ეხვეოდნენ ყმაწვილნი კაცნი და ამის გამო იმან სრულიად აიყარა გული ოჯახზედაც, და თავის ყმაწვილზედაც. დაიწყო ცოლსა და ქმარს შუა უსიამოვნება, საყვედური და კიცხვა-კილვა. ამ რამდენისამე დღის წინად, დაშკევიჩი რომ სახლში დაბრუნდა, თავის ცოლთან ჰნახა ერთი ახალგაზდა ლამაზი აფიცერი. შეურაცხებულმა ქმარმა მაშინვე გააგდო დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც წასვლისას დაემუქრა, ჩემს მოწმებს გამოგიგზავნით თქვენდა ბრძოლაში გამოსაწვევადაო. შემდეგ დაშკევიჩმა უბრძანა თავისს ცოლს, აქ მოიყვანე ჩვენი სამის წლის ქალიშვილიო. როდესაც ეს ბრძანება ქმრისა შეასრულა შეშინებულმა ყმაწვილმა ქალმა, დაშკევიჩმა კარები ჩაკეტა და რევოლვერით ჯერ შვილი მოკლა, მერე ცოლი და შემდეგ თითონაც მოიკლა თავი. ამ ამბავმა დიდი მოქმედება იქონია მთელის ქალაქის მცხოვრებლებზედ და უბედურთა დასაფლავებას მთელი ჩერნოვიცი დაესწრო.

---

ნება ცოდნით. ისტორიკოსი მაკოლეი შენიშნავს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში შოტლანდიელებმა აჯობეს ინგლისელებს თითქმის ყოველ სამოქალაქო საქმეში, რომ პირველთ, თანახმად ედინბურგის პარლამენტის განკარგულებისა, ყოველგან მოეპოებოდათ საერო სკოლები, ხოლო ინგლისი-კი მოკლებული იყო ამისთანა სკოლებსაო. გერმანიის ერის ცხოვრების მცოდნენი ამბობენ, რომ „საფრანგეთი იმიტომ დაამარცხა გერმანიამ, რომ ამ ქვეყანას კარგი სასწავლებლები ჰქონდაო“. „განათლება, ამბობს ლაველე, შეიქმს ხალხის კეთილ-დღეობას, რადგანაც ცოდნა არის ძალა, ხოლო ძალა დედაა დოვლათისაო [5]); დაკეტეთ სკოლები, იტყვის იგივე ავტორი, და ერთად ერთ საშუალებად წესს-რიგის დაცვისათვის თქვენ დაგრჩებათ მხოლოდ ციხე და სახრჩობელაო. მთავრობამ უნდა ორიდგან ერთი აირჩიოს: ან

[5]) Народное образованіе.—Соч. Э. Лавеля.—СПБ. стр. 2.

მტარვალი, ან მასწავლებელიო [6]) „ჭკუის უმჯობესი, იტყვის ერთი ძველთაგანი ბრძენი, კაცის აგებულებასა შინა არა რა იქმნებაო; უცოდინრობა და სიჩქარე კაცს ისეთს მთხრელს შთააგდებს, რომ ასსა წელიწადს ეცადოს, ველარ ამოვიდესო [7]). დიდების მომპოვებელი ჭკუა, ვისაც რჩეული ცოდნა აქვს, თვისის კეთილის მყოფელის ცნობა უწყის და თავსა თვისსა დაცემულობისაგან მაღალსა და ქებულსა და პატიოსანსა ხარისხზედ აიყვანს და ვისაცა ჭკუა და მეცნიერება მოკლე და უსუსური აქვს, ამაღლებულის ხარისხით თავს სიმდაბლისა და სიგლახაკის უბეთა ჩამოახდუნებს [8]). ცოდნა კეთილი ხელის იარაღია. ჭკვიანნი მისით კეთილსა სახელსა გაითქმენ და უკვდავებისა მადლსა მოიგებენ, სწორითა გზითა სიარულითა მრავალსა სამკაულსა შეიმზადებენ და სატანჯველსა და ჭირსა განერიდებიან [9]). ამისათვის იტყვის მგოსანი:

სიბრძნეს ეცადე, სიბრძნითა პატივი მოიგებიან.
უცოდინარნი ქაბუკნი ჩალად არ ეღირებიან.
ცოდნა შესძინებს არძანგსა, ვინცა ვინ სად იქმნებიან,
და ქვედას ხარისხით საზეოდ ავლენ და ამაღლდებიან [10].)

ზემორე ჩვენის ნათქვამიდან ის კი არ უნდა დავსკვნათ, რომ ვითომ მარტო ხალხის სწავლა-განათლებას, მისს აღზრდას უნდა მეცადინეობდეს საზოგადოება და ცხოვრების სხვა მხარეს, სხვა არსებითს მოთხოვნილებას ყურადღებას არ უნდა აქცევდეს. არა. ჩვენ ამით მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ხალხის აღზრდა ნიადაგია, რომელზედაც მხოლოდ შესაძლებელია, რომ ყოველმა თავისთავად, თავისის დედა-აზრით და განზრახულებით სასარგებლო განკარგულებამ, გინა მოძრაობამ ნამდვილი, რიალური სარგებლობა მოუტანოს ხალხს და ამ ნიადაგზედ ზრუნვა არაოდეს არ უნდა განუტეოს საზოგადოებამა და მმართველობამ. იყო დრო, როდესაც სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო ზრუნვა უპირველესად ხალხის განათლებისათვის უკუგდებულიყო, ან იმიტომ, რომ ეს ზრუნვა შეუძლებელი იყო და ან საზოგადოება სხვა რაიმე ზრუნვით და ბოროტებით იყო გარეშემოზღუდული. ამისთანა დროც გამოუცდია კაცობრიობას, როდესაც ჰქადაგობდენ,-ჯერ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობისათვის იზრუნეთო, თავდაპირველა იმის განკარგებისათვის იშრომეთ, რომ ხალხი კარგად გაძღეს, შესუქდეს, ჯიბეში ნამეტანი გროში გაუჩნდესო და მაშინ თითონ იგი უჩვენოდაც კარგად მიართავს აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმესაო; როდესაც არსებითის პურისათვის ყოველ დღიური შრომისაგან რამდენიმე თავისუფალი დრო მიეცემა, მაშინ თითონ მოიფიქრებს და მოისურვებს კიდეცაო, რომ ეს თავისუფალი დრო ჭკუა-გონების განვითარებას მოახმაროსო. იმისთანა დროც ვიცით კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც სულ ამის წინააღმდეგს მოძღვრებას აღიარებდნენ. მაშინ კაცის სხეული ცოდვილის სულის ცოდვილ სამყოფელად, საპყრობილედ მიაჩნდათ და სწამდათ, რომ სულის გაწმენდისათვის აუცილებლად საჭირო იყო ამ სხეულის დატანჯვა, წამება.

ასეთი უკუღმართი შეხედულება სწავლა-განათლების შესახებ მთელის წინა დროებათა ცხოვრებით იყო გამოწვეული და იქმნება თავის დროს დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ დღეს სამართლიანად უარყოფილია ყველასაგან. ეხლა ძვირად-ღა შეხვდებით მქადაგებელს, რომელიც ამას ამბობდეს, რომ „ღორობა სჯობდეს სოკრატობას და ან სოკრატობა ღორობას“.

(დასასრული იქმნება)

[6]) იქვე, გვ. 8.
[7]) ქილილა და დამანა.—გვერდი 385.
[8]) ქილილა და დამანა, გვრდი 81.
[9]) იქვე, გვერდი 436.
[10]) იქავე, გვერდი.

# გასართობი

—

ერთმა კაცმა უთხრა ურიასა.

— ერთ ქვეყანაში ურიასა და ვირს ერთად არჩობენო.

— რა ბედნიერები ვართ მე და შენა რომ იმ ქვეყანაში არა ვართო, უპასუხა ურიამ.

* *

ერთმა ერთს ფოშტით წერილი გაუგზავნა და შიგ დასწერა:

— შენი სახელი და გვარი დამავიწყდა ზედ ვერ დავსწერე და ეგები შენ თითონ მოიკითხო ეს წერილიო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

როგორც მკითხველს მოეხსენება, ბ-ნმა ზეს. მიქაძემ, ახალ-სენაკის ბიბლიოთეკის გამგეობის ბრალი თვითონ თავიდან აიცილა და მე მომახვია თავზედ, ხოლო იმ ფულის შესახებ, რომელიც 1891 და 1892 წწ. შემოვიდა, ბ-ნმა მიქაძემ საზოგადოებას წარუდგინა თავიდან ბოლომდე სიმართლეს მოკლებული ანგარიში. ესეც არ იკმარა და ანგარიშის ფურცლის ბოლოზე, მკითხველ საზოგადოების, კარგად დასარწმუნებლად, რამდენსამე პირსაც მოაწერინა ხელი; მათს რიცხვში მოჰყვა ქ-ბნი ბაბილინა ვასტანგის ასული ზუბურიშვილისაც; როდესაც ეს ანგარიში ვაჩვენე ქ-მან ბაბილინა ვასტანგის ასულს, მან მეტის-მეტად იუცხოვა. „პირველად მესმის და ეს რასა ჰგავს, არ ვიციო“.— იუცხოვა აგრეთვე ისიც, როცა ვკითხე: გასულ წლის „Нива“-ს თუ უგზავნიდით სამკითხველოს მეთქი. დანარჩენთ „დამაარსებელ წევრთაც“, რომლებსაც ბიბლიოთეკის ანგარიშზე ხელი უწერიათ, კარგად ვიცნობ, მაგრამ არა როგორც ბიბლიოთეკის გამგეობათ, არა ბიბლიოთეკის მწარმოებლად და შემოსავალ გასავალის მცოდნეებათ, იმათ მხოლოდ ერთ სანად (1891 წ.) შემოსწირეს ფული ბიბლიოთეკას. ისინი ბიბლიოთეკის მწარმოებლად არავის არ ამოურჩევია და არც ბიბლიოთეკაში შემობრძანებულან მთელის წლის განმავლობაში. აი, ასეთის ანგარიშის წარმოდგენის გამო მკითხველ საზოგადოების წინაშე, მე ვსთხოვე ბ-ნს მიქაძეს (ივერია № 67) მედიატორეთა სამართალში გამობრძანდით მეთქი და დაგიმტკიცებ, რა სიმართლეც მიგიძღვით მეთქი. მაგრამ მიქაძემ ეს არ ინება და დღეს „ივერიის“ მე-80 №-ში ვკითხულობთ: «ვიდრე თავართქილაძესთან მედიატორეთა სამართალში გასვლა და გამართვა ჩვენი დამცირებააო“... „და ჩვენი წარმოდგენილი ანგარიში-კი სამდვილიაო“. რისთვის არის დამცირება ნეტავ თავართქილაძესთან გამართვა!? როცა, გიჭირდათ და მეხვეწებოდით პატივცემულ კაცათ მთვლიდით: „მომეხმარე და იმ სირცხვილიდამ გამომიყვანე, რომელშიაც ვარ საზოგადოების წინაშე აგერ ორი წელიწადიაო“, „გამამართვინე ბიბლიოთეკა როგორმე თქვენს წიგნის მაღაზიასთან და წარმოებაც თქვენ იკისრეთ უსასყიდლოდო“, რატომ მაშინაც ამასა არა ჰბრძანებდით. თქვენ თვითონ დაიწყეთ თავართქილაძესთან გამართვა „ივერიაში“ და რატომ, მაშინ არ დაგამცირათ ამ გარემოებამ? ახლა გადიდკაცდით თუ როგორ არ არის თქვენი საქმე? ვინ იცის, იქნება ბაბილინა ვასტანგის ასულის ზუბურიშვილისავით სხვასაც ეუცხოვა მასი ანგარიში, და იმათაც სთქვეს, ეს რა ამბავიაო. ასე თუ ისე, ერთი მაინც ცხადია, სახელდობრ ისა რომ ქ-ნს ბაბ. ვ. ს.—ასულს ზუბურიშვილისას იმ ანგარიშზედ ხელი არ მოუწერია და მაშასადამე, აქ რაღაც გამოცანაა, რაღაც სიყალბეა. მაშასადამე, საეჭველია ისიც, რომ საზოგადოების ფული და ჩემი 104 მანეთიც იკარგება სრულიად ტყუილ-უბრალოდ. ვსთხოვ აგრეთვე ქ-ნ ბაბილინა ვასტანგის ასულს ზუბურიშვილისას გამოაცხადოს, უკეთუ ამ წერილში ტყუილს და გადამეტებულს რასმე ვამბობდე.

კ. ჩ. თავართქილაძე

ოზურგეთი, აპრილი 14.

# დეპეშა

27 აპრილი

**პარისი.** გუშინ პარლამენტმა გაარჩია დეპუტატის ტუსსენის საქმე, რომელსაც მთავარ-მინისტრი აბრალებდა მუშების წაქეზებას მთავრობის განკარგულების წინააღმდეგობის გასაწევად. მინისტრმა განაცხადა, რომ პარლამენტმა თუ უარი სთქვა ჩემს წინადადებაზედ, სამსახურიდან უნდა გავიდეო. პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ დეპუტატი ტუსსენი დევნულ იქმნეს კანონით. სოციალისტთა დეპუტატებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც წინააღმდეგობას აცხადებენ პარლამენტის განაჩენის გამო და ხუთი ამათგანი, რომელთა შორის ტუსსენიც არის, ტრინაკს წავიდენ. შაბათს პარისსა და სხვა დიდ ქალაქებში გაიმართება მიტინგები, სადაც წინააღმდეგობა უნდა გამოაცხადონ პარლამენტის განაჩენის შესახებ.

28 აპრილი

**პეტერბურგი.** შემდეგს კვირაში სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება განიხილავს საქმეს სტამბოლში რუსულ საარხეოლოგიო ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

**ვენა.** პოლშელთა ოსტრაუში დღეს დილით მუშაობის აღმკვეთელ მუშათა ბრბომ, 1,000-მდე კაცმა, განიზრახეს გზა შეეკრათ მღვიმე-მაღაროში მიმავალ სხვა მუშებისათვის; ჟანდარმები წინ მიეგებნენ მუშაობის აღმკვეთელთ. მუშაობის აღმკვეთელნი დაეძგერნენ ჟანდარმებს, რის გამოც უკანასკნელნი თოფის სროლას იყვნენ იძულებულნი; 10 მუშაობის აღმკვეთელი იქმნა მოკლული და 12 მძიმედ არის დაჭრილი; მუშაობის ადგილას ჯარი იქმნა გაგზავნილი.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,16}$ | $7_{,49}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 149 | 149 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 247 |
| —მეორისა | — ,, | — , | 225 1/2 |
| 1% მესამე სესხისა | -- ,, | — ,, | -- ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | | — ,, | 194 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | | — ,, | 101 1/8 |
| 5% | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | | — ,, | 102 |
| 5% | 102 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 101 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## „ქართული თეატრის არტისტების მოგზაურობა“

ტფილისის ქართულ თეატრის ამხანაგობა
ვალერ. გუნიას გამგეობით
გამართავს რამდენსამე წარმოდგენას
1 მაისიდგან
ქალ. ფოთსა და ბათომში.

დასს შეადგენენ: ქნ. ბარბარე აფხაზიშვილისა, ბარბარე მაქსიმიძისა, ნატ. რჩეულიშვილისა, ბ-ნნი კონ. ყიფიანი, ვლად. ალექსიევ-მესხიშვილი ვასილ აბაშიძე, ვალ. გუნია, სვიმ. სვიმონიძე კონსტ. შათირიშვილი, გრიგ. აბაშიძე, კონსტ. გალუსტოვი, ალექს. თამაზიშვილი და სხვანი.

რეპერტუარი: ძმა ისტ. დრამა მეგრელთ ცხოვრებიდგან 5 მოქ. ვალ. გუნიასი, გამწარებული ცხოვრება კომ. 4 მოქ. გადმოკ. ივ. კერესელიძისაგან, სტუმარი დრამა 4 მოქ. ბრანდესისა, ცხოვრება დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვ. გუნიასი, ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში, კომ. ფარსი 3 მოქმედ. გიორგი აბაშიძისა, შეშლილია დ. 3 მოქ. თარგ. აბაშიძისა, [illegible] ფარსი 3 მოქ. ვოდევილები: სოლდერობა, ასირებული, დატრიალდა ჯვარა, არც აქეთ არც იქეთ, და სხვა.

ადგილების ფასი 3 მან. მოყოლებული ვიდრე 50 კაპეიკამდე“.

ბილეთების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ამხანაგობის ხაზინადარს თავ. ნიკ. დავ. აბაშიძეს.

ამხანაგობის გამგებელი ვალ. გუნია

(5—1)


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1894 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ-ქონებათა გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1887 წლის 15 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1894 წ. გადასახადი ჯამი, ვიდრე უმაღლესად დამტკიცებულ მთლად კავკასიისათვის შედგენილი განაწილებანი და საერო ხარჯთ რიცხვა, შეადგენს 63,611 მან. და 13 კ. სამის წლით 1893 წლიდგან, და გადასახადის აკრეფის ხარჯად ტფილისის ქალაქის საბჭოს 27, 28, 29 და 30 დეკემბერს 1893 წ. დადგენილობით დანიშნულია 2700 მ., რომელიც თანახმად მიწებზე დაწესებულ გადასახადის დებულების მე-13 მუხლისა, უნდა გამოერთვად მამულის პატრონთ, რომელთაც გადასახადი აქვსთ გაწერილი.

1894 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 35,104,637 მან. (მეტი შედარებით 1893 წ, 829,188 მან.), მაშასადამე ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | გარდას. აკრეფის ხარჯი. | | ს უ ლ. | | დასაფასებელი ჯამი. | ახალი გადასახადი. | | გარდასახ. აკრების ხარჯი. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანეთი | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 100,000 | 179 | 97 | 7 | 65 | 187 | 62 | 700 | 1 | 26 | — | 05 | 1 | 31 |
| 80,000 | 143 | 98 | 6 | 12 | 150 | 10 | 500 | — | 90 | — | 04 | — | 94 |
| 50,000 | 89 | 99 | 3 | 83 | 93 | 82 | 300 | — | 54 | — | 02 | — | 56 |
| 30,000 | 53 | 99 | 2 | 30 | 56 | 29 | 100 | — | 18 | — | 01 | — | 19 |
| 15,000 | 27 | 00 | 1 | 15 | 28 | 15 | 80 | — | 14 | — | 01 | — | 15 |
| 10,000 | 18 | 00 | — | 77 | 18 | 77 | 50 | — | 09 | — | — | — | 09 |
| 8,000 | 14 | 40 | — | 61 | 15 | 01 | 40 | — | 07 | — | — | — | 07 |
| 6,000 | 10 | 80 | — | 46 | 11 | 26 | 30 | — | 05 | — | — | — | 05 |
| 4,000 | 7 | 20 | — | 31 | 7 | 51 | 10 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 2,000 | 3 | 60 | — | 15 | 3 | 75 | 9 | — | 02 | — | — | — | 02 |
| 1,000 | 1 | 80 | — | 08 | 1 | 88 | 5 | — | 01 | — | — | — | 01 |
| 900 | 1 | 62 | — | 07 | 1 | 69 | 3 | — | 01 | — | — | — | 01 |

**მაგალითი:** ამ გვარად, 8745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი—15 მან. 74 კაპ., (8000 მან.—14 მან. 40 კაპ., 700 მან.—1 მან. 26 კაპ., 40 მან- —07 კაპ., და 5 მან.—01 კაპ., სულ 15 მან. 74 კაპ.,) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—66 კ. (61 კ.+05 =66 კ.); 56,638 მან. დაფასებულს მამულს—სახელმწიფო ხარჯი 101 მან. 93 კაპ. (89 მან. 99 კაპ.+10 მან. 80 კ.+1 მან. 08 კ.+05 კ.+01 კ.=101 მან. 93 კ.) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—4 მან. 34 კ. (3 მ. 83 კ.+46 კ.+05 კ.=4 მ. 34 კ) ე. ი. ახალი გადასახადი ერთად გადასახადის აკრეფის ხარჯით ნაკლებია ქალაქს დასაფასებელ გადასახადზე 1/4 დით.

გარდახდევინება დარჩენილი გარდასახადისა 1888, 1890 და 1891 წწ., რომელიც ნაწილ-ნაწილად უნდა იქმნას გარდხდილი ხუთის წლის განმავლობაში, წელსაც გამოერთმევა 1/5 ნაწილი.

უძრავ მამულების ახალ გადასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გადასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცალიერ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის განაპირა მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ «კავკაზის» 114 №-ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კა. ნაკლები შეხვდება (გასანაწილებელ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1893 წ, 140მ.)

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწვრილებითი ცნობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდიდამ გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვიდრე ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ-ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელს ქონებას რა გადასახადი გაეწერა.

(1—1)




Въ Б. Жуковскiй С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

მსურველს პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები საჩქაროდ გაეგზავნება.